

ორჩევ ევერესტს?
ესე იგი ორჩევ
ხარისხს!!!

სახელი, გვარი, ტელეფონი

სკოლა

მათემატიკის მასწავლებელი

1) დაფაზე 3 ერთნიშნა რიცხვი წერია. ამ რიცხვების ჯამია 15, ხოლო ნამრავლია 105.
პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2) ა) რას უდრის დაფაზე დაწერილი რიცხვების ჯამი?
1) 3-ს 2) 15-ს 3) 45-ს 4) 105-ს 5) 120-ს

2) ბ) რას უდრის დაფაზე დაწერილი რიცხვების ნამრავლი?
1) 3-ს 2) 15-ს 3) 45-ს 4) 105-ს 5) 120-ს

5) გ) რას უდრის დაფაზე დაწერილ რიცხვებს შორის უდიდესისა და უმცირესის სხვაობა?
1) 32-ს 2) 16-ს 3) 8-ს 4) 4-ს 5) 2-ს

2) გასაყოფი გამყოფზე 8-ით მეტია. განაყოფი 3-ის ტოლია.
პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2) ა) რამდენით მეტია გასაყოფი გამყოფზე?
1) ერთით 2) სამით 3) ხუთით 4) რვით 5) თერთმეტით

2) ბ) რას უდრის განაყოფი?
1) ერთს 2) სამს 3) ხუთს 4) რვს 5) თერთმეტს

7) გ) რას უდრის გასაყოფი?
1) რვას 2) ცხრას 3) ათს 4) თერთმეტს 5) თორმეტს

3) დაფაზე რიცხვი 1 მილიონი ეწერა. ბესომ ამ რიცხვს რომელიღაც ხუთნიშნა რიცხვი
გამოაკლო. ბესოს მიერ მიღებულ რიცხვს ნატომ ოთხნიშნა რიცხვი გამოაკლო.
პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2) ა) რა რიცხვი ეწერა დაფაზე?
1) 1 000 000 2) 100 000 3) 900 000 4) 10 000 5) 9 999

5) ბ) ყველაზე დიდი რამდენნიშნა რიცხვი შეიძლება მიეღო ნატოს?
1) რვანიშნა 2) შვიდნიშნა 3) ექვსნიშნა 4) ხუთნიშნა 5) ოთხნიშნა

7) გ) ყველაზე პატარა რამდენნიშნა რიცხვი შეიძლება მიეღო ნატოს?
1) რვანიშნა 2) შვიდნიშნა 3) ექვსნიშნა 4) ხუთნიშნა 5) ოთხნიშნა

4) კატერი მდინარეში მოძრაობისას A პუნქტიდან B პუნქტში მისვლას 55 წუთს ანდომებს, ხოლო B პუნქტიდან A პუნქტში მისვლას – 45 წუთს. (კატერის საკუთარი სიჩქარე ორივე მიმართულებით მოძრაობისას ერთი და იგივეა) პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

- 2 ა) რა დროს ანდომებს კატერი B პუნქტიდან A პუნქტში მისვლას?
1) 1 სთ-ს 2) 2 სთ-ს 3) 55 წთ-ს 4) 45 წთ-ს 5) 35 წთ-ს
- 2 ბ) რა დროს ანდომებს კატერი A პუნქტიდან B პუნქტში მისვლას?
1) 1 სთ-ს 2) 2 სთ-ს 3) 55 წთ-ს 4) 45 წთ-ს 5) 35 წთ-ს
- 5 გ) რა დროს მოანდომებს კატერი A პუნქტიდან B პუნქტში მისვლას და უკან დაბრუნებას?
1) 1 სთ-ს 2) 1 სთ-ს და 20 წთ-ს 3) 1 სთ-ს და 40 წთ-ს 4) 2 სთ-ს 5) 3 სთ-ს
- 7 დ) რა დროს მოანდომებს კატერი B პუნქტიდან A პუნქტში მისვლას უკან დაბრუნებას და კიდევ ერთხელ A პუნქტში მისვლას?
1) 1 სთ-ს და 50 წთ-ს 2) 1 სთ-ს და 55 წთ-ს 3) 2 სთ-ს და 25 წთ-ს
4) 2 სთ-ს და 35 წთ-ს 5) 2 სთ-ს და 45 წთ-ს

- 5 5 ქვემოთ მოცემული რამდენი წინადადებაა ჭეშმარიტი?
- ნებისმიერ პირამიდას იმდენი წვერო აქვს რამდენიც წახნაგი;
 - ნებისმიერ პრიზმას წვერო უფრო მეტი აქვს, ვიდრე წახნაგი;
 - არ არსებობს ისეთი პირამიდა, რომელსაც მხოლოდ 1 წვერო აქვს;
 - კუბის წვეროებისა და წახნაგების ჯამი 2-ით მეტია წიბოების რაოდენობაზე;
 - კუბს 2-ჯერ მეტი წიბო აქვს, ვიდრე წახნაგი.
- 1) ერთი 2) ორი 3) სამი 4) ოთხი 5) ხუთი

- 5 6 ქვემოთ მოცემული რამდენი ტოლობაა მცდარი?
- 1 კგ = 1 000 გ 1 კმ = 1 000 000 მმ 1 კმ = 10 000 დმ 5 დმ = 500 მმ
- 1) ერთი 2) ორი 3) სამი 4) ოთხი 5) არცერთი

- 5 7 სამშენებლო კომპანიამ ათსართულიანი სახლი ააშენა, რომლის თითოეული სართულის აშენებას ერთი და იგივე დრო მოანდომა, გარდა პირველი სართულისა. პირველი სართულის აშენებას 2-ჯერ მეტი დრო დასჭირდა, ვიდრე ნებისმიერი სხვა სართულის აშენებას. რამდენ დღეში ააშენა სამშენებლო კომპანიამ ათსართულიანი სახლი, თუ ბოლო სართულის აშენებას 2 დღე დასჭირდა?
- 1) 10 დღეში 2) 12 დღეში 3) 20 დღეში 4) 22 დღეში 5) 24 დღეში


- 5 8 ნიკამ მაღაზიაში ოცდაოთხფურცლიანი რვეული იყიდა. მან ამ რვეულის მესამედი მთლიანად ნახატებით შეავსო. რვეულის დანარჩენ გვერდებზე ნიკამ ამოცანები უნდა დაწეროს. თითოეული გვერდის ამოცანებით შევსებას 5 წუთი სჭირდება. სულ რამდენი წუთი დასჭირდება ნიკას რვეულში დარჩენილი გვერდების ამოცანებით შესავსებად?
- 1) 16 წუთი 2) 40 წუთი 3) 80 წუთი 4) 120 წუთი 5) 160 წუთი

- 7 9 ნინომ 127 გაეო ორნიშნა რიცხვზე და ნაშთი მიიღო 2. ყველაზე დიდ რა რიცხვზე შეიძლება გაეო ნინოს 127?
- 1) 129-ზე 2) 125-ზე 3) 105-ზე 4) 25-ზე 5) 5-ზე

7 10 იამ დახაზა ოთხკუთხედი რომლის ყველა გვერდი სხვადასხვა სიგრძისაა. 1 გვერდის სიგრძეა 12 სმ, მეორე გვერდის – 16 სმ, ხოლო პერიმეტრია 64 სმ. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რამდენი სმ-ის ტილი არ შეიძლება იყოს იას დახაზული ოთხკუთხედის ერთ-ერთი გვერდი?

- 1) 17 სმ 2) 18 სმ 3) 19 სმ 4) 20 სმ 5) 21 სმ

8 11 ნიკას 14 ცალი ასანთის ღერი ჰქონდა. მან ასანთის ღერები ერთმანეთს მიაწება (სურათი 1). მიწებებული ასანთის ღერებით ნიკამ სამნიშნა რიცხვების შედგენა დაიწყო. ყველაზე მეტი რამდენი ერთმანეთისგან განსხვავებული სამნიშნა რიცხვის შედგენა შეუძლია ნიკას? (რიცხვები ერთმანეთს არ უნდა ეხებოდეს)



(სურათი 1)

- 1) 6 2) 9 3) 18 4) 24 5) 30

8 12 ლადოს აქვს 3 ცალი ორკილოგრამიანი გირი, თამუნას – 2 ცალი ერთკილოგრამიანი გირი, ხოლო ლალის კი – 1 ცალი ხუთკილოგრამიანი გირი. ქვემოთ მოცემული რომელი წინადადებაა ჭეშმარიტი?

- ა) ლადოს და ლალის თევშებიანი სასწორისა და თავიანთი გირების გამოყენებით, 1 აწონვით შეუძლიათ 11 კილოგრამი ფქვილი აწონონ;
ბ) ლადოს და თამუნას თევშებიანი სასწორისა და თავიანთი გირების გამოყენებით, 1 აწონვით შეუძლიათ 7 კილოგრამი ფქვილი აწონონ;
გ) თამუნას და ლალის თევშებიანი სასწორისა და თავიანთი გირების გამოყენებით, 1 აწონვით შეუძლიათ 4 კილოგრამი ფქვილი აწონონ.

- 1) მხოლოდ „ა“ 2) მხოლოდ „ბ“ 3) მხოლოდ „ა“ და „ბ“

4) ბხოლოდ „ბ“ და „გ“

5) სამივე წინადადება ჭეშმარიტია



13 მწკრივში დაწერეს რიცხვები: 1; 2; 3; 5; და 6 (არა ამ თანმიმდევრობით). თავდაპირველად დაწერეს კენტი რიცხვები, შემდეგ კენტი რიცხვების მარჯვნივ დაწერეს ლუწი რიცხვები. ცნობილია, რომ თუ ადგილებს შევუცვლით ექვსიანს და სამიანს, მაშინ სამიანი აღმოჩნდება მარცხნიდან მეოთხე. სად აღმოჩნდება ხუთიანი, თუ ადგილებს შევუცვლით ორიანს და ხუთიანს?

1) მარჯვნიდან პირველი

2) მარჯვნიდან მეოთხე

3) მარცხნიდან მესამე

4) მარცხნიდან პირველი

5) ამის გაგება შეუძლებელია



14 შოთას აქვს სხვადასხვა წონის სამი მონეტა: წითელი, ყვითელი და მწვანე. ასევე აქვს თევშებიანი სასწორი. მან სასწორის გამოყენებით შეადარა წითელი და ყვითელი მონეტების წონები. ამის შემდეგ შეადარა ყვითელი და მწვანე მონეტების წონები. ქვემოთ მოცემული რამდენი წინადადებაა ჭეშმარიტი?

- იმისათვის, რომ შოთამ გაარკვიოს რომელი მონეტაა ყველაზე მძიმე და რომელი – ყველაზე მსუბუქი, შესაძლებელია მას თევშებიანი სასწორის გამოყენებით კიდევ ერთხელ დასჭირდეს რომელიმე ორი მონეტის წონის შედარება;
- იმისათვის, რომ შოთამ გაარკვიოს რომელი მონეტაა ყველაზე მძიმე და რომელი – ყველაზე მსუბუქი, არც ერთ შემთხვევაში მას აღარ დასჭირდება თევშებიანი სასწორის გამოყენებით რომელიმე ორი მონეტის წონის შედარება;
- იმისათვის, რომ შოთამ გაარკვიოს რომელი მონეტაა ყველაზე მძიმე და რომელი – ყველაზე მსუბუქი, შესაძლებელია მას აღარ დასჭირდეს თევშებიანი სასწორის გამოყენებით რომელიმე ორი მონეტის წონის შედარება.

- 1) 1 2) 2 3) 3 4) არცერთი 5) ამის გაგება შეუძლებელია